

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის #49 დადგენილებით. რის შედეგადაც ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 7097,4 ათასი ლარის ოდენობით (ნაშთის ცვლილების გარეშე).

2019 წლის 9 თვეში ბიუჯეტში განხორციელდა 6 ცვლილება:

- I. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 01 თებერვლის №3 დადგენილებით, ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 580,9 ათასი ლარით და განისაზღვრა 7758,3 ათასი ლარით.
- II. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის №4 დადგენილებით, ბიუჯეტის გადასახდელები გაიზარდა 41,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 11918,9 ათასი ლარით.
- III. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 01 მარტის №8 დადგენილებით, 2019 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 240,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 7998,3 ათასი ლარით.
- IV. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის №10 დადგენილებით, 2019 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 3059,7 ათასი ლარით და განისაზღვრა 11058,0 ათასი ლარით.
- V. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 10 მაისის №12 დადგენილებით, 2019 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 510,1 ათასი ლარით და განისაზღვრა 11568,2 ათასი ლარით.
- VI. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 მაისის №13 დადგენილებით, 2019 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 972,8 ათასი ლარით და განისაზღვრა 13103,7 ათასი ლარით.

ფაქტიური შემოსულობების მიხედვით

2019 წლის 9 თვის შემოსავლების გეგმა შეადგენს 8679,8 ათას ლარს. ფაქტიურმა შემოსავალმა 9 თვეში შეადგინა 6757,2 ათასი ლარი, გეგმის 77,8 %, მათ შორის:

ა. დამატებითი ღირებულების გადასახადი დაგეგმილია 2827,2 ათასი ლარით, ფაქტიურმა შემოსავალმა 9 თვეში შეადგინა 2900,2 ათასი ლარი, 102,5%

ბ. საწარმოთა ქონების გადასახადი დაგეგმილი იყო 110,0 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა 9 თვეში შეადგინა 546,0 ათასი ლარი,

გ. ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი დაგეგმილი იყო 15,0 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა 9 თვეში შეადგინა 0,4 ათასი ლარი,

დ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი დაგეგმილი იყო 747,7 ათასი ლარი, 9 თვეში შემოსულია 310,0 ათასი ლარი, 41,5%

ე. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 9 თვეში შემოსულია 8,2 ათასი ლარი,

ვ. გრანტებიდან მიღებული შემოსავალია 9 თვეში 2604,4 ათასი ლარი,

მათ შორის:

ვ.ა. მიზნობრივი ტრანსფერი დაგეგმილია 197,8 ათასი ლარი, მიღებულია 191,6 ათასი ლარი,

ვ.ბ. ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად მიღებულია 2412,8 ათასი ლარი,

მათ შორის:

ვ.ბ.ა. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 1722,8 ათასი ლარი,

ვ.ბ.ბ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 340,0 ათასი ლარი.

ვ.ბ.გ. სპეციალური ტრანსფერი 350,0 ათასი ლარი

ზ. სხვა შემოსავლები დაგეგმილია 362,1 ათასი ლარი, შემოსულია 388,0 ათასი ლარი,

მათ შორის:

ზ.ა. პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 15,3 ათასი ლარს, გეგმის 27,8 %-ს

ზ.ბ. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ბიუჯეტში შემოსულია 59,7 ათასი ლარი,

ზ.გ. შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსულია 49,4 ათასი ლარი,

ზ.დ. სანებართვო მოსაკრებლების კუთხით გეგმა შეადგენს 26,0 ათას ლარს, შემოსულია 22,0 ათასი ლარი, გეგმის 84,6%

ზ.ე. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების კუთხით შემოსულია 22,4 ათასი ლარი, გეგმის 57,4%

ზ.ვ. შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,8 ათასი ლარი,

ზ.ზ. შემოსავალი შენობების და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსულია 33,5 ათასი ლარი,

ზ.ი. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი შემოსულია 90,0 ათასი ლარი, გეგმის 113,6%.

ზ.კ. ჯარიმები, სანქციების და საურავების კუთხით შემოსულია 135,9 ათასი ლარი, გეგმის 99,7%

ზ.ლ. შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსულია 49,4 ათასი ლარი

ზ.მ. შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან შემოსულია 1,8 ათასი ლარი,

ზ. ნ. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (მობრუნებული თანხა) შემოსულია 7,3 ათასი ლარი

შემოსავალი არაფინანსური აქტივების კლებიდან დაგეგმილი იყო 660,9 ათასი ლარი, შემოსულია 217,1 ათასი ლარი,

მათ შორის:

ა. ძირითადი აქტივების გაყიდვიდან შემოსულია 136,5 ათასი ლარი

ბ. არაწარმოებული აქტივების (მიწა) პრივატიზებიდან მიღებულია 79,5 ათასი ლარი.

სულ, 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსულობების გეგმა შეადგენს 9340,7 ათას ლარს, ფაქტიურმა შემოსულობამ 9 თვეში შეადგინა 6974,3 ათასი ლარი, გეგმის 74,6 %.

გადასახდელები

I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების 2019 წლის 9 თვის გეგმა შეადგენს 2150.3 ათას ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 1816,7 ათასი ლარი, გეგმის 84,5%

მათ შორის:

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯების 9 თვის გეგმა შეადგენს 503.5 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 433,5 ათასი ლარი, გეგმის 86,1%, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები შემცირებულია 24,4 ათასი ლარით.

მათ შორის:

ა. შრომის ანაზღაურების მუხლით 9 თვის გეგმა შეადგენს 336,0 ათას ლარს, დაფინანსებულია 321,8 ათასი ლარით, გეგმის 95,8%, გასულ წელთან შედარებით შრომის ანაზღაურების მუხლი გაზრდილია 14,2 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ხელფასების მატებით.

ბ. საქონელი და მომსახურების ხარჯების 9 თვის გეგმა შეადგენს 102,3 ათას ლარს, დაფინანსებულია 67.4 ათასი ლარით, გეგმის 65.9 %

მათ შორის:

ბ.ა. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი დაფინანსებულია 17.4 ათასი ლარით

მივლინება დაფინანსებულია 0,3 ათასი ლარით

ბ.ბ. ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 7.9 ათასი ლარით,

მათ შორის;

ბ.ბ.ა. საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯები დაფინანსებულია 1,0 ათასი ლარით

ბ.ბ.ბ. კავშირგაბმულობის ხარჯი 2,6 ათასი ლარი,

ბ.ბ.გ. საფოსტო მომსახურების ხარჯი 0,2 ათასი ლარი

ბ.ბ.დ. საკანონმდებლო მაცნეს გამოსაწერად 2,7 ათასი ლარი,

ბ.ბ.ე. კარტრიჯების შეძენის და დატუმბვის ხარჯი 0,9 ათასი ლარი

ბ.ბ.ვ. კომპიუტერული ტექნიკის შეძენის ხარჯი 0,5 ათასი ლარი

ბ.გ. ტრანსპორტის, ტექნიკისა იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლი დაფინანსებულია 42,0 ათასი ლარით

მათ შორის:

ბ.გ.ა. საწვავ/საპოხი მასალების შესაძენად 34,0 ათასი ლარი,

ბ.გ.ბ. მიმდინარე რემონტის ხარჯი 7,5 ათასი ლარი

ბ.გ.გ. ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი--- -- 0,5 ათასი ლარი

ბ.გ. წარმომადგენლობითი ხარჯებია 0,1 ათასი ლარი

ბ.დ. სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები დაფინანსებულია 38,7 ათასი ლარით (საკრებულოს წევრების მომსახურების განხორციელების მიმდინარე წლის ხარჯი)

2. მუნიციპალიტეტის მერიის საერთო ხარჯების 9 თვის გეგმა შეადგენს 1382,6 ათას ლარს, საკასო ხარჯია 1236,9 ათასი ლარი, გეგმის 89,5 %. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 121,3 ათასი ლარით.

მათ შორის:

ა. მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მუხლით 9 თვის გეგმა შეადგენს 831,7 ათას ლარს, დაფინანსებულია 761,5 ათასი ლარით, გეგმის 91,5%. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 68,7 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ხელფასების მატებით.

ბ. საქონელი და მომსახურების ხარჯების გეგმა შეადგენს 422,4 ათას ლარს, დაფინანსებულია 372,3 ათასი ლარით, გეგმის 87%, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 63,5 ათასი ლარით.

მათ შორის:

ბ. ა . შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება დაფინანსებულია 41,6 ათასი ლარით,

ბ. ბ. მივლინება დაფინანსებულია 30,6 ათასი ლარით, აქედან

მივლინება ქვეყნის შიგნით 7,9 ათასი ლარით, ქვეყნის გარეთ 22,7 ათასი ლარით

ბ. გ. ოფისის ხარჯების მუხლი დაფინანსებულია 144,8 ათასი ლარით,

მათ შორის :

ბ.გ.ა. საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯები დაფინანსებულია 6,7 ათასი ლარით

ბ.გ.ბ. კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი --- 3,5 ათასი ლარი

ბ.გ.გ. ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაპირითადი საქმიანობის) ხარჯები დაფინანსებულია 1,4 ათასი ლარით

ბ.გ.დ. კარტიჯების შეძენა და დატუმბვის ხარჯი--- 4,5 ათასი ლარი

ბ.გ.ე. საოფისე ინვენტარის შეძენის ხარჯი 6,5 ათასი ლარი

ბ.გ.ვ. კომპიუტერული ტექნიკის შეძენის ხარჯი 3,5 ათასი ლარი

ბ.გ.თ. კავშირგაბმულობის ხარჯი ---- 23,7 ათასი ლარი,

ბ.გ.ი. საფოსტო მომსახურების ხარჯი ---2,1 ათასი ლარი

ბ.გ.კ მოხმარებული ელ. ენერგია-----32,5 ათასი ლარი

ბ.გ.ლ. წყლის ხარჯი----46,4 ათასი ლარი,

ბ.გ.მ. ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი---12,8 ათასი ლარი,

ბ.დ. წარმომადგენლობითი ხარჯები დაფინანსებულია---20,2 ათასი ლარით.

ბ.ე. ტრანსპორტის ხარჯების მუხლი დაფინანსებულია --- 84,7 ათასი ლარით,

მათ შორის :

ბ.ე.ა. საწვავის შესაძენად----- 70,5 ათასი ლარი,

ბ.ე.ბ. მიმდინარე რემონტის ხარჯი დაფინანსებულია 11,8 ათასი ლარით

ბ.ე.გ. ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი--- -- 2,4 ათასი ლარი

ბ.ვ. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მუხლი დაფინანსებულია---50,3 ათასი ლარით, მ.შ. 0,4 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „მაგთიკომს“ 112-ის მომსახურების ხარჯი, 10,0 ათასი ლარი ჩაერიცხა ა(ა)იპ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფინანსისტა ასოციაციის მერიის საწევრო შენატანი, 32,8 ათასი ლარი გადაირიცხა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური, 4,2 ათასი ლარი გადახდილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურების საფასური, 0,4 ათასი ლარი ჩაერიცხა გია მოსაშვილს წარჩინებული სტუდენტის აშშ-ში კონფერენციაზე დასასწრებად მგზავრობის ხარჯი, 0,1 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს შპს „პრომოუტერს“ შოთა ბეჟაშვილის სახელობის უმაღლესი სკოლისთვის აბრის დამზადების ხარჯი, 1,0 ათასი ლარი ჩაერიცხა მანანა ნადირაშვილს დაზარალებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების ხარჯი, 1,3 ათასი ლარი ჩაირიცხა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ფასიანი ტრენინგის მომსახურების ხარჯი.

გ. სუბსიდიების მუხლით 9 თვის გეგმა შეადგენს 41,2 ათას ლარს, დაფინანსებულია 29,7 ათასი ლარით, რომელიც ჩაერიცხა ა(ა)იპ წითელი ჯვრის საზოგადოებას სუბსიდირების მ.წ. ხარჯი.

დ. სოციალური უზრუნველყოფის მუხლი დფინანსებულია 4,2 ათასი ლარით

ე. სხვა ხარჯების მუხლი დაფინანსებულია 7,0 ათასი ლარით, აქედან 1,0 ათასი ლარი ჩაერიცხა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გიორგი აბრამიშვილის დედის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, 2,8 ათასი ლარი ჩაირიცხა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისგან განთავისუფლების ხარჯი, 0,5 ათასი ლარი ჩაირიცხა წარჩინებული სტუდენტის გია მოსაშვილის ამერიკაში კონფერენციაზე დასასწრებად მგზავრობის ხარჯი, 0,2 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „პრომოუტერს“ შოთა ბეჟაშვილის სახელობის უმაღლესი სკოლისთვის ძალისმიერ სამჭიდში აბრის დასამზადებლად, 1,0 ათასი ლარი ჩაერიცხა მანანა ნადირაშვილს დაზარალებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარება, 1,5 ათასი ლარი ჩაერიცხა ოლეგ კიკილაშვილს დაზარალებულ მოქალაქეზე ერთჯერადი დახმარება.

ვ. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გეგმა შეადგენს 75,0 ათას ლარს. დაფინანსებულია 62,3 ათასი ლარით, მათ შორის: 1,8 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ სოფ. ტიბანის მუსიკალური სკოლის შენობის გაზიფიცირების სამუშაოებზე, 0,5 ათასი ლარი ჩაერიცხა სს „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ ელენერგის გამანაწილებელ ქსელზე ვაჭირის ილო მოსაშვილის სახლმუზეუმის მიერთების ხარჯი, 0,2 ათასი ლარი ჩაერიცხა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს, 2,9 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „კამბისინეს“ სიღნაღში

ტურისტულ ბილიკზე კიბის მოწყობის სამუშაოებზე, 2,8 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „კამბისინეს“ სოფელ ანაგის ტერიტორიულ ორგანოში სველი წერტილების მოწყობის სამუშაოებზე, 33,4 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „არტ-სტარს“ სიღნაღში ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე არსებული ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, 0,8 ათასი ლარი ჩაერიცხა ნანა ბოსტოლანაშვილს საოფისე კარადის მიწოდების ხარჯი, 12,7 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „იუ-ჯი-თის“ კომპიუტერების შეძენის ხარჯი, 3,5 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ტექნო სამყაროს“ კონდენციონერების შეძენის ხარჯი, 3,7 ათასი ლარი ჩაირიცხა ვიდეო სამეთვალყურეო კამერების კომპლექტის ინსტალაციის ხარჯი.

3. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდის გეგმა შეადგენს 207,4 ათას ლარს, დაფინანსებულია 143,3 ათასი ლარით, გეგმის 69 %

ვალდებულებების კლება დაფინანსებულია 66,0 ათასი ლარით, რომელიც გადაერიცხა სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლების ბოდბისა და ბოდბისხევის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სასესხო გადასახდელი ძირის მ/წ ხარჯი.

პროცენტი დაფინანსებულია 77,3 ათასი ლარით, ბოდბე- ბოდბისხევის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სასესხო გადასახდელი პროცენტი.

4. შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები

შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯების გეგმა შეადგენს 4,2 ათას ლარს. დაფინანსებულია 3,0 ათასი ლარით, გეგმის 71,4 %.

II. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

1, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის ღონისძიებების 9 თვის გეგმა შეადგენს 75,7 ათას ლარს, საკასო ხარჯია 69,2 ათასი ლარი, გეგმის 91,4% ,

მათ შორის:

1, მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მუხლით გათვალისწინებული გეგმა შეადგენს 66,3 ათას ლარს. დაფინანსებულია 62,0 ათასი ლარით,

2, საქონელი და მომსახურების ხარჯების 9 თვის გეგმა შეადგენს 9,4 ათას ლარს, დაფინანსებულია 7,2 ათასი ლარით,

მათ შორის:

ა. ოფისის ხარჯების მუხლი დაფინანსებულია 2.7 ათასი ლარით,

მათ შორის:

საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების და სხვა ანალოგიური მასალების შესაძენად 2,0 ათასი ლარი,

ელექტრო ენერჯის ხარჯი შეადგენს 0,7 ათას ლარს,

ბ. ტრანსპორტის ხარჯების მუხლი დაფინანსებულია 4,5 ათასი ლარით,

მათ შორის :

საწვავის შესაძენად----- 4,5 ათასი ლარი,

III. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

გზების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

1, საქონელი და მომსახურების ხარჯები დაფინანსებულია 307,0 ათასი ლარით, აქედან 39.7 ათასი ლარი ჩარიცხულია შპს „თი-ენ-სი“-ს ვაჭირში, ანაგასა და ნუკრიანში სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზის მოხრეშვის სამუშაოებზე, 142,2 ათასი ლარი ჩარიცხულია შპს „ბურჯი+“-ს საქობოში და მამნაარში სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზის მოხრეშვის სამუშაოებზე, 65,8 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „გუმბათ“-ს წნორში სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზის მოხრეშვის სამუშაოებზე, 29,3 ათასი ლარი ჩარიცხულია შპს „ბი-ეს-ჯი“ სოფელ ვაჭირში სტიქიის შედეგად დაზიანებული სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვის სამუშაოებზე, 30,0 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „შოთა გრუპს“ სოფ. ძველ ანაგაში სავარგულებთან მისასვლელი გზების მოხრეშვის სამუშაოს ხარჯი.

2, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსებულია 1760,7 ათასი ლარით, აქედან 143,7 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ტექნომშენ ჯგუფს“ წნორის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯი, 74,8 ათასი ლარი ჩარიცხულია შპს „თი-ენ-სი“-ს სიღნაღში ბეჟანიშვილის ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, 31,8 ათასი ლარი ჩარიცხულია შპს „თი-ენ-სი“-ს ნუკრიანში მარტაანთ უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, 58,1 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „გუმბათ“-ს სიღნაღში ბეჟანიშვილის ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, 205,7 ათასი ლარი ჩარიცხულია შპს „გუმბათ“-ს ნუკრიანში მარტაანთ უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, 30,6 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ტექნომშენ ჯგუფს“ სიღნაღში მოსულიშვილის ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯი, 72,9 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „გუმბათ“-ს წნორში ვაჟა-ფშაველას ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, 5,9 ათასი ლარი ჩარიცხულია შპს „გზაჯვარედინზე“ საჯარო სკოლებთან სიჩქარის შემზღვეველი ბარიერის მოწყობის სამუშაოებზე, 303,7 ათასი ლარი ჩაერიცხა გივი ბაბაევს კერძო აღმასრულებელის განკარგულება #A19085156-007/003, შპს „აი-ემ-ჯის“ სასარგებლოდ, 214,5 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „თეგეტა კონსტრაქშენ ექვიფმენტს“ ექსკავატორ დამტვირთველის ხარჯი.

164,8 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „გუმბათს“ სიღნაღში საავტომობილო გზაზე ასფალტობეტონის მოწყობის ხარჯი, 339,1 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „საგზაო-სამშენებლო სარემონტო კომპანიას“ წნორში 9 აპრილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯი, 100,7 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „გარდაბნის საგზაო სამმართველოს“ ქვ. მაღაროში კელმეჩურის უბნის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, 14,3 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „მშენებელს“ სიღნაღში საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯი

3, სულ, გზების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები დაგეგმილი იყო 3887,9 ათასი ლარით, ფაქტიურად გაიხარჯა 2067,7 ათასი ლარი, გეგმის 53,2 %. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 1857,2 ათასი ლარით.

მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების 9 თვის გეგმა შეადგენს 6,4 ათას ლარს, საკასო ხარჯია 5,1 ათასი ლარი, გეგმის 79,7 % ,

აღნიშნული თანხა, ჩაერიცხა სს„წნორის სამგზავროს,, სოფელ ილია წმინდა-წნორის მიმართულებით მგზავრების ტრანსპორტით მომსახურების ღირებულების გადასახდელად

ა(ა)იპ „კომუნალური1“

1, სუბსიდიის მუხლი დაფინანსებულია 641,5 ათასი ლარით,

2, სულ, ა(ა)იპ „კომუნალური1“ ხარჯები 9 თვეში დაგეგმილი იყო 786,5 ათასი ლარით, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 645,6 ათასი ლარი, გეგმის 82,2 %.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები

წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები 9 თვეში დაგეგმილია 864,1 ათასი ლარით, ფაქტიურად ხარჯი შეადგენს 116,5 ათასი ლარს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 78,4 ათასი ლარით.

მათ შორის:

1, საქონელი და მომსახურების ხარჯების გეგმა 13,3 ათასი ლარი, საკასო ხარჯია 12,4 ათასი ლარი, აქედან 3,0 ათასი ლარი ჩაერიცხა სს „ენერგოპროჯორჯიას“ ჭაბურღილების ელექტროენერჯის გადასახადი, 9,4 ათასი ლარი ჩაერიცხა საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგებას წყლის ხარჯი.

2, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის გეგმა შეადგენს 850,8 ათას ლარს, დაფინანსებულია 104,1 ათასი ლარით, 9,6 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „თერგს“ ბოდბესა და ბოდბისხევში ჭაბურღილების მშენებლობის ხარჯი, 15,4 ათასი ლარი ჩაერიცხა ამხანაგობა „კონტრაქშენ გრუპს“ სიღნაღში „ნასამხრალის“ ტერიტორიაზე სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებზე, 61.7 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „თერგს“ სოფელ საქობოში შუალა ხეობიდან „ბრაზაანთ“ უბნის ჭაბურღილების მოწყობის ხარჯი, 2,4 ათასი ლარი ჩაერიცხა სს „ენერგოპროჯორჯიას“ ელ. ენერჯის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ხარჯი, 15,0 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ბურჯს“ სოფელ ანაგაში სტიქიის შედეგად დაზიანებული სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯი,

გარე განათების მოწყობა- რეაბილიტაცია

გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილია 532,7 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 357,6 ათასი ლარი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 44,9 ათასი ლარით.

მათ შორის:

1, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების მუხლი დაფინანსებულია 179,0 ათასი ლარით, გარე განათების სისტემების ელექტროენერჯის გადასახადი 179,0 ათასი ლარი გადაირიცხა სს „ენერჯო პროჯორჯია“-ის ანგარიშზე,

2, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსებულია 178,6 ათასი ლარით, აქედან 44,4 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ბრენდს“ სოფ. ძვ. ანაგაში შიდა საუბნო გზებზე გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე, 14,2 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „მურს“ ნუკრიანი-სიღნაღის საავტომობილო გზაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე, 4,0 ათასი ლარი ჩაერიცხა სს „ენერჯოპროჯორჯიას“ ელ. ენერჯის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ხარჯი, 88,1 ათასი ლარი ჩარიცხულია შპს „ბრენდზე“ სოფელ ძველ ანაგაში შიდა საუბნო გზებზე გარე განათების მოწყობის ხარჯი, 27,9 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „მურის“ ნუკრიანი-სიღნაღის საავტომობილო გზაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები

1, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის გეგმა შეადგენს 555,4 ათას ლარს, დაფინანსებულია 263.7 ათასი ლარით. აქედან 108,4 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებისთვის, 33,9 ათასი ლარი კი ჩაერიცხა შპს „Georgianhouse“ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებისთვის, 9,2 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „გამა კონსალტინგს“, 65,2 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „პროჯექტ კომპანის“, 2,9 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ელექტროტექნოლოგიების ჯგუფს“, 6,6 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „მერკატორს“, 37,5 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „გზაჯვარედინი ოცდამეერთეს“

2, საქონელი და მომსახურების ხარჯები დაფინანსებულია 0,5 ათასი ლარით, რომელიც ჩაერიცხა ი.მ. თორნიკე ფართალამეს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებისთვის,

2, სულ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯების გეგმა შეადგენს 571,7 ათას ლარს, დაფინანსებულია 264,2 ათასი ლარით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 219,6 ათასი ლარით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები

1, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსებულია 321,8 ათასი ლარით, აქედან

45,9 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ლაით ქონსტრაქშენს“ ქ. წნორში, ქვ. მაჩხანსა და ჯუგაანში გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე,

42,5 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ცოტნეს“ ხირსა, ყარაღაჯი, ტიბაანის გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე,

20,0 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „სეივონს“ ნუკრიანის ცენტრში არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე,

20,0 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „სეივონს“ ანაგაში „ზარიაულის“ ხევთან სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე,

20,0 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „კამბისინეს“ ვაქირში სასაფლაოების „კოპალა“ და „კვირაცხოვლის“ კეთილმოწყობის სამუშაოებზე,

19,6 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „მაისტარტს“ ილიაწმინდაში გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე,

20,0 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „მაისტარტს“ ქვემო ბოდბეში გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე,

16,0 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „მაისტარტს“ ზემო ბოდბეში გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე,

12,6 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „მაისტარტს“ ზემო მაღაროში გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე,

1,4 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „განაპლიუსს“ სპორტული ხალიჩის მიწოდების ხარჯი,

3,6 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „განაპლიუსს“ კრივის მოწყობილობის მიწოდების ხარჯი,

25,8 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „შოთა და გრუპს“ მაღარო, ძველ ანაგასა და ხირსაში ჭაბურღილის და წყლის სათავე ნაგებობის აღდგენა რეაბილიტაციის სამუშაოებზე,

12,0 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „კამბისინეს“ მაშნაარში ნაძვნარის ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის სამუშაოებზე,

15,0 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „კამბისინეს“ ბოდბისხევში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოებზე,

18,2 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ბურჯი+“ საქობოში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოებზე,

1,8 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ბურჯი+“ საქობოში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებზე,

7,4 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ბურჯი+“ წნორში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებზე,

4,7 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „MG“ ხორნაბუჯის საბავშვო ბაღში ატრაქციონის მოწყობის ხარჯი,

7,5 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ბურჯი+“ წნორის პარკის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებზე,

7,8 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ჯიბიბი“ ერისიმედში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოებზე,

განათლება

ა(ა)იპ “სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების” სუბსიდიის მუხლით გეგმა შეადგენს 1300,0 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 1166,0 ათას ლარს, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსებულია 2,0 ათასი ლარით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 190,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ “სიღნაღის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის” სუბსიდიის მუხლით ” 9თვის გეგმა შეადგენს 53,5 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 53,5 ათას ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსებულია 1,2 ათასი ლარით.

საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო და მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსება

1, სხვა ხარჯები დაფინანსებულია 77,4 ათასი ლარით, აღნიშნული თანხა გადაერიცხა შპს „თაიმსერვისს“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის.

2, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსებულია 438,0 ათასი ლარით, აქედან

33,8 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „უნივერსალს“ სოფელ ანაგის და საქობოს საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოების ხარჯი,

37,9 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „გიდანს“ სოფელ ერისიმედის საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოების ხარჯი,

42,1 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ამჯორჯიას“ სოფელ ხირსის და წნორის #3 საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოების ხარჯი,

49,9 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „სამშენებლო კომპანია თი-ენ-სის“ სოფელ მადაროს საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოების ხარჯი,

43,9 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „სეივონს“ სოფელ ნუკრიანის და წნორის #2 საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოების ხარჯი,

30,5 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ჯეოლიზ ინვესტის“ სოფელ ვაქირის და ნუკრიანის საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოების ხარჯი,

36,7 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „შოთა & გრუპს“ სიღნაღის საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოების ხარჯი,

50,0 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. „ივანე ოტიაშვილს“ სოფელ ქვ. ბოდბის საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოების ხარჯი,

49,3 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. „ივანე ოტიაშვილს“ სოფელ ილიაწმინდის საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოების ხარჯი,

49,9 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ბურჯ+ს“ სოფელ საქობოს საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოების ხარჯი,

14,0 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. იოსებ წიკლაშვილს სიღნაღის მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლის სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურების ხარჯი.

სულ, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსების ხარჯების გეგმა 562,7 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულია 515,4 ათასი ლარი,

სკოლამდელი განათლების კაპიტალური ხარჯი

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსებულია 144,5 ათასი ლარით, აქედან 5,3 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ლიზის“ ბაღებში სანტექნიკის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. 139,2 ათასი ლარი ჩაერიცხა ამხანაგობა „აი-თი-ემს“ ბოდბის თოღლაანთ უბნის საბავშვო ბაღის მშენებლობის ხარჯი

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 35,4 ათასი ლარით.

IV. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის“

1, სუბსიდიის მუხლით გეგმა შეადგენს 176.5 ათას ლარს, დაფინანსებულია 157.6 ათასი ლარით,

2, სულ ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ხარჯების გეგმა შეადგენს 181.5 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 157.6 ათასი ლარი, 94%, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 27,2 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრის“ სუბსიდიის გეგმა შეადგენს 180.9 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 169.0 ათასი ლარი, 93,4%, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 28,7 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსებულია 70.0 ათასი ლარით, აქედან 62.3 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „მაკმშენს“ სიღნაღის საბავშვო ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანხა.

ა(ა)იპ“სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ გეგმა შეადგენს 188.1 ათას ლარს, დაფინანსება შეადგენს 177.6 ათას ლარს, 94.4%, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 42,8 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ სუბსიდიის მუხლით გეგმა შეადგენს 180.5 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 177.4 ათასი ლარი, 98.3% გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 12,7 ათასი ლარით.

საინფორმაციო ცენტრი

საქონელი და მომსახურების ხარჯები დაგეგმილია 16,0 ათასი ლარით. დაფინანსებულია 12,0 ათასი ლარით, აქედან 7,8 ათასი ლარი გადაერიცხა სპს „ყალაბეგაშვილი ორიონი“ გაზეთი „სპექტრს“ გაზეთის მიწოდების ღირებულება, 3,0 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ახალ ამბებს“ ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსების ხარჯი, 1,2 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ფავორიტი სტილს“ მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ფლაერების და ბუკლეტების შექმნის ხარჯი.

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა

1, საქონელი და მომსახურების ხარჯები დაგეგმილია 36,7 ათასი ლარით, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 24,2 ათასი ლარი, აქედან 0,5 ათასი ლარი ჩაერიცხა

შპს „პრომო ცენტრს“ სტუმრებისთვის საჩუქრად გადასაცემი ბრენდირებული ჭიქების ღირებულება, 0,5 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. არკადი პაპიაშვილს სტუმრებისთვის საჩუქრის ღირებულება, 0,7 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „დიჯიტალტექსს“ სტუმრებისთვის პორტატული დამტენის ღირებულება, 4,0 ათასი ლარი ჩაერიცხა ა(ა)იპ კიგბოქსინგის და ტაიბოქსინგის კლუბი „მგლებს“, 1,2 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. ირაკლი მჭედლიშვილს მერიაში დასაქმებული ქალბატონებისთვის 8 მარტთან დაკავშირებით ყვავილების თაიგულის შეძენის ხარჯი, 0,1 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. მარიამ მჭედლიშვილს მერიის ოფიციალური სტუმრებისთვის სასაჩუქრე პარკების ხარჯი, 5,0 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. ბექა ხალათაშვილს 15 აპრილს სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი კონცერტის ჩასატარებლად, 1,2 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ავბ“-ს მუნიციპალიტეტის სტუმრების გამასპინძლების ხარჯი, 0,7 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. მია ალადაშვილს სტუმრების გამასპინძლების ხარჯი, 1,5 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „მწიგნობარს“ სტუმრების გამასპინძლების ხარჯი, 3,1 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. ლეილა მჭედლიშვილს ფოლკლორული ანსამბლი „ქიზიყელებისთვის“ სასცენო ფორმების მიწოდების ხარჯი, 0,5 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. ნონა გავაშელს სტუმრებისთვის 10 ცალი ფიგურა „ლომის“ მიწოდების ხარჯი, 2,0 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „საზოგადოებრივი და შემოქმედებით გაერთიანებას“ სპექტაკლ „საუკუნის მკვლელობის ჩატარების ხარჯი,

2, სუბსიდიის მუხლი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 5,5 ათასი ლარი, აქედან 0,5 ათასი ლარი ჩაერიცხა ა(ა)იპ სოფელ ტიბაანის განვითარების ფონდს, 2,0 ათასი ლარი ჩაერიცხა ა(ა)იპ „ახალგაზრდობა სოციალური თანასწორობისთვის“ სუბსიდირების ხარჯი, 0,5 ათასი ლარი კი ჩაერიცხა ა(ა)იპ „პენსიონერების ასოციაციას“ სუბსიდირების ხარჯი, 2,5 ათასი ლარი ჩაერიცხა ა(ა)იპ „ზედაშეს“ სუბსიდირების ხარჯი.

3, სხვა ხარჯების დაფინანსებულია 20,1 ათასი ლარით, აქედან 6,9 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. ბესიკ ბაკაშვილს საახალწლო საჩუქრების შეძენის ხარჯი, 3,0 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ეტალონი მედიას“ მედია პროექტში მოსწავლეების მონაწილეობის ხარჯი, 1,9 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „ჯეოსპორტს“ სპორტული ფორმების მიწოდების ხარჯი, 2,1 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. გივი ბაგალიშვილს 3 მარტთან დაკავშირებით საჩუქრების მიწოდების ხარჯი, 0,2 ათასი ლარი ჩაერიცხა ჯემალ ნანდოშვილს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯი, 2,5 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. ინგა გორხელაშვილს უკრაინაში ფესტივალზე მონაწილეობის ხარჯი, 3,6 ათასი ლარი ჩაერიცხა ი.მ. გიორგი ბაღაშვილს მ.წ. 27 მაისს სემინარის ჩატარების ხარჯი. 0,1 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „მარაზია ინტელექტს“ წიგნის ბუნების 10 საოცრების შესაძენად.

4, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსებულია 22,2 ათასი ლარით, აქედან 21,3 ათასი ლარი ჩაერიცხა შპს „პროცესორს“ საშობაო ნაძვის ხის შეძენის ხარჯი, 0,9 ათასი ლარი ჩაერიცხა ა(ა)იპ კიკ-ბოქსინგის და ტაი-ბოქსინგის კლუბს სოფელ საქობოში ყოფილი ტექნიკუმის ტერიტორიაზე კიკ-ბოქსინგის ტრენაჟორების სრული კომპლექტის შეძენის ხარჯი.

5, სულ საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის ხარჯების გეგმა შეადგენს 87,8 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 74,1 ათასი ლარი, 84,4% , გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 34,6 ათასი ლარით.

V. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის 9 თვის გეგმა შეადგენს 763,4 ათას ლარს, დაფინანსებულია 461,7 ათასი ლარით, 60,5% მათ შორის:

ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“-ს 9 თვის გეგმა შეადგენს 45,9 ათას ლარს, დაფინანსებულია 41,1 ათასი ლარით, 89,5 %

მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ხარჯების გეგმა შეადგენს 137.0 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 127.0 ათასი ლარი,

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვების დაფინანსების გეგმა შეადგენს 27,8 ათას ლარს, საკასო ხარჯია 25,7 ათასი ლარი, გეგმის 100%, აღნიშნული თანხა გაიხარჯა 187 ბენეფიციარის გამოსაკვებად.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის ხარჯების გეგმა შეადგენს 22,3 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 11.4 ათასი ლარი,

სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების გეგმა შეადგენს 0,7 ათას ლარს,

სხვა სოციალური ღონისძიებების გეგმა შეადგენს 29.3 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 25.4 ათასი ლარი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები შემცირებულია 56,4 ათასი ლარით.

სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გეგმა შეადგენს 20.0 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 5.8 ათასი ლარი 0.9 ათასი ლარი ჩაერიცხა შალვა დუჩიძეს ქონება ფართის ქირის ღირებულება სტიქიის შედეგად დაზარალებულის ჯონდო ცანავასთვის დასახმარებლად, 0.3 ათასი ლარი ჩაერიცხა ნათელა ბერიაშვილს სტიქიის შედეგად დაზარალებულის დახმარება, 3.6 ათასი ლარი ჩაერიცხა ირინე გოჩიტაშვილს სტიქიის შედეგად დაზარალებულის დახმარება, 0.4 ათასი ლარი ჩაერიცხა თამუნა სარაჯიშვილს სტიქიის შედეგად დაზარალებულის დახმარება, 0,2 ათასი ლარი ჩაერიცხა ლიანა გურაშვილს სტიქიის შედეგად დაზარალებულის დახმარება, 0.4 ათასი ლარი ჩაერიცხა მარიამ შენკენაშვილს სტიქიის შედეგად დაზარალებულის დახმარება,

იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) სოციალური დახმარების გეგმა შეადგენს 3,0 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 1,4 ათასი ლარი, 14 განცხადება.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა მატერიალური და სამედიცინო დახმარების გეგმა შეადგენს 38,2 ათას ლარს, ფაქტიურად გახარჯულია 28,5 ათასი ლარი, მ.შ. 0,8 ათასი ლარი ჩაერიცხა ა(ა)იპ ხანდაზმულთა სავანე ბეთელს. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 19,8 ათასი ლარით.

მარჩენალდაკარგულის და მარტოხელა დედების სოციალური დახმარების გეგმა შეადგენს 3,0 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 2,9 ათასი ლარი, 29 განცხადება.

ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილო“-ს ხარჯების 9 თვის გეგმა შეადგენს 77,7 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 68,9 ათასი ლარი, დღეის მდგომარეობით სარგებლობს 187 ბენეფიციარი ძირითადი სიით, ხოლო რეზერვში -10.

სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარების ხარჯების 9 თვის გეგმა შეადგენს 9,0 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 6,7 ათასი ლარი.

სიღნაღი მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის სოციალური პაკეტით 2019 წლის პირველი იანვრიდან დღემდე ისარგებლა 1112 მოქალაქემ და მასზე დაიხარჯა 280,0 ათასი ლარი.

სულ, 2019 წლის ხარჯების 9 თვის გეგმა შეადგენს 13208,7 ათას ლარს, დაფინანსებამ შეადგენა 8845,6 ათასი ლარი, გეგმის 66,9%, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 3585,2 ათასი ლარით.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი გოგილაშვილი